ცისფერი სინათლე

ალბათ შუაღამე იქნება,
სხვაგვარ დასკვნამდე მივედი.
შენსკენ გამაფრინეს ფიქრებმა
რაღაც შორეულ იმედით.

შენ მოდი ნისლიან წამიდან,
(ცაზე მოღლილი მთვარეა) .

ა, ვამბობ: სიკვდილი არ მინდა!
სიცოცხლე უფრო მწარეა.

ის გული ყორანმა წაიღო,
წამებას კიდევ ავიტან.
თიოქო ყოველივე, რაც იყო
ყრუ სიშორეში წავიდა.

შემდეგ მწუხარება გამეფდა,
ჩუმად მოვიდა ზაფხული.
ვდგავარ საოცრების კარებთან,
როგორც სიზმარი წარსულის.

ახლაც უიმედო წამია,
წუხელ გაფრენა ვინატრე.
გულში დ ნისლიანი ღამეა,
სულში დ ცისფერი სინათლე.